

5/15/2020

შეფასებები აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით

მარიამ წიწიკაშვილი

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)



„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დაწყებიდან 10 წლის შემდეგ, საქართველო ევროკავშირთან იმაზე მეტად ახლოსაა, ვიდრე ოდესმე. უფრო მეტიც, მის საკვანძო მოკავშირედ და სტრატეგიულ პარტნიორად ჩამოყალიბდა. გარკვეული დაბრკოლებების მიუხედავად, ქართული საზოგადოება და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა¹ კვლავ მტკიცედ უჭერს მხარს ევროპული ინტეგრაციის პროცესს. საქართველოში ყველა დაინტერესებული მხარე თანხმდება, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა ბოლო გაჩერება ვერ იქნება და ქვეყანამ ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი უნდა გააღრმავოს.² მიუხედავად აღნიშნულ ენთუზიაზმთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობისა ბრიუსელსა თუ ევროკავშირის სხვა დედალაქალებში, ნათელია, რომ საქართველოს ურყევი პრო-ევროპული საზოგადოებრივი განწყობა ქვეყნის რეფორმირების დაჩქარებისა და ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელობანი ინსტრუმენტია.

ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით, და უფიზო მიმოსვლა ის მთავარი მიღწევებია, რომლებმაც ხელი შეუწვევს ევროკავშირსა და საქართველოს შორის როგორც პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას, ისე მათი პარტნიორობის განმტკიცებას. განსხვავებულ სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფში მყოფმა პირებმა, მათ შორის სტუდენტებმა, მეცნიერებმა, ფერმერებმა, მეწარმეებმა და სხვ. ხელშესახები სარგებელი ნახეს ევროკავშირის ისეთი პროექტებით, როგორებიცაა EU4business, ENPARD³, Erasmus+, Horizon 2020 და ა.შ. აღნიშნულზე მკაფიოდ მეტყველებს შემდეგი რიცხვებიც: 2009 წლიდან, ENPARD პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირმა 1,600 კოოპერატივს აღმოუჩინა ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა, წვლილი შეიტანა 59 საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრის დაფუძნებაში; 40 ათასმა მცირე და

¹ საქართველოში 18-34 წლის ასაკის გამოკითხული რესპონდენტების 83% მხარს უჭერს საქართველოს გაცხადებულ მიზანს გახდეს ევროკავშირის წევრი. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერი. იხ.: <https://www.caucasusbarometer.org/ge/nn2019ge/JOINEU-by-AGEGROUP/>

² საქართველოში მოქმედი ყველა წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიამ მხარი დაუჭირა ქვეყნის კონსტიტუციაში ევროატლანტიკური მისწრაფების ჩაწერას და მოწოდებას, რომ კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

³ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის(ENPARD) მეშვეობით, ევროკავშირი დახმარებას უწევს საქართველოში სოფლის და სოფლისმეურნეობის განვითარებას. აღნიშნული პროგრამა 2013 წლიდან ხორციელდება და მის მთავარ მიზანს სოფლად სიღარიბის შემცირება წარმოადგენს. პროგრამა მხარდაჭერას უწევს როგორც მთავრობას, ისე უშუალოდ თემებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <http://enpard.ge>



საშუალო საწარმომ, მიკროსაწარმომ და ფერმერმა მიიღო კრედიტი; HORIZON 2020-ის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია 130 მლნ. ევროს მოცულობის კრედიტი ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოებისა, და საშუალო კაპიტალიზაციის მქონე მცირე კომპანიებისთვის.⁴ აღმოსავლეთ პარტნიორობა ცხოვრების შემცველი გამოცდილების მომტანი გამოდგა განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის - Erasmus+-ის ფარგლებში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის 5,500-ზე მეტმა სტუდენტმა და აკადემიურმა პერსონალმა მიიღო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ხოლო 9,300-ზე მეტი ქართველი ახალგაზრდა იყო ჩართული ერთობლივ ტრენინგებში, გაცვლით და მოხალისეობრივ პროექტებში.⁵ აღნიშნული სარგებლიდან გამომდინარე, ზოგიერთი ზემოხსენებული პროგრამა, საზოგადოებრივი ცნობადობის თვალსაზრისით აღმოსავლეთ პარტნიორობასაც აღემატება.

გასული 10 წლის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეებმა კიდევ უფრო მკაფიოდ გააცნობიერეს, რომ ევროპული ინტეგრაციის პროცესი გრძელვადიანი პროექტია, რომელიც ეტაპობრივად უზრუნველყოფს გაზრდილ მობილობას, ვაჭრობას და ცხოვრების დონის ამაღლებას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას უფრო მეტად დაჩქარებული რეფორმებისა და ცვლილებების იმედი ჰქონდა, ქართული საზოგადოება კვლავაც ურყევ მხარდაჭერას უცხადებს ქვეყნის ევროპულ მიზანს და მოსახლეობის 82% ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერია.⁶ ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალგაზრდები, რომლებიც ევროპული ინტეგრაციის პროცესს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ყველაზე ძლიერ მექანიზმად მიიჩნევენ.

აღმოსავლეთ პარტნიორობა კვლავაც რელევანტური საგარეო პოლიტიკური პროექტია, თუმცა საქართველოსთვის ფინიშის ხაზს არ წარმოადგენს. როგორც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი აღნიშნავს „იმისთვის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა დარჩეს ეფექტური და წარმატებული მომდევნო 10 წლის მანძილზე, საჭიროა იყოს მოქნილი, დინამიკური და წინმხედველი“.⁷ ანალოგიურად, უკრაინა და მოლდოვა, რომლებმაც შესაბამისი ძალისხმევა გასწიეს რეფორმების

⁴ EU Neighbours East. ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები: ფაქტები და რიცხვები. იხ.: <https://www.euneighbours.eu/ka/east/stay-informed/publications/evrokavshir-sakartvelos-urtiertobebi-paktebi-da-ritskhvebi>

⁵ იქვე.

⁶ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერი. იხ.: <https://www.caucasusbarometer.org/ge/nn2019ge/JOINEU/>

⁷ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. „რა არის და რა არ არის აღმოსავლეთ პარტნიორობა“. 2019 წლის ივლისი. იხ.: <https://bit.ly/33jPwlt>



გატარების თვალსაზრისით და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასაც მოაწერეს ხელი, სულ უფრო ენერგიულად ითხოვენ დიფერენცირებულ მიდგომას. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფდა ასოცირებულ პარტნიორ ქვეყნებს ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების ინსტრუმენტებით და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობდა ევროკავშირის სრული წევრობის მიღწევას. თუმცა, ევროკავშირის ზოგიერთმა სკეპტიკურად განწყობილმა სახელმწიფომ სწრაფად გამორიცხა აღმოსავლეთ პარტნიორობიდან „ევროკავშირთან ინტეგრაციის ან წევრობის ყველა პერსპექტივა ან ყველა მექანიზმი“.⁸ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის 2017 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის დეკლარაციასთან, რომელშიც ევროკავშირის საბჭომ აღიარა აღმოსავლეთ ევროპული პოლიტიკის ფარგლებში დიფერენცირების პრინციპის საჭიროება.⁹

ახლა, როდესაც აღმოსავლეთ პარტნიორობამ 10 წლიან ნიშნულს მიაღწია, ევროკავშირს და პარტნიორ სახელმწიფოებს სჭირდებათ წინმხედველი და ამბიციური დღის წესრიგის შემუშავება, რომელიც პარტნიორებს საშუალებას მისცემს მათი შესაძლებლობისა და ინტერესების შესაბამისად მოახდინონ ევროკავშირთან ჩართულობა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებულმა ქვეყნებმა უკვე განაცხადეს საკუთარი ამბიციები „ევროკავშირის ერთიან ბაზართან სრული წვდომის უზრუნველსაყოფად მიმართული ეტაპობრივი ინტეგრაციის“, ისევე როგორც „ოთხი თავისუფლების დანერგვის პროცესში ახალი ჰორიზონტების გახსნის“ თვალსაზრისით.¹⁰ საჭიროა ევროკავშირმა აღიაროს, რომ პარტნიორობა საქართველოსთან და სხვა ასოცირებულ ქვეყნებთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგრძელდება და განვითარდება, თუ იარსებებს საერთო სამომავლო ხედვა - „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ როგორც პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციისა და სრულ წევრობასთან მიახლოების ხელშეწყობის მყარი ინსტრუმენტი. შესაბამისად, ნაცვლად ზედმეტი აქცენტირებისა რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ საბოლოო ჯამში გამორიცხავს წევრობის პერსპექტივას, ევროკავშირმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს საკუთარი ბერკეტები და ასოცირების შეთანხმების ხელმომწერ ქვეყნებს რეფორმების დაჩქარებისკენ უბიძგოს. ამ უკანასკნელის გარეშე, შესაძლოა ევროკავშირმა საფრთხე შეუქმნას რეგიონში საკუთარ პოლიტიკურ ამოცანებს.

⁸ რადიო თავისუფლება, „საფრანგეთი: აღმოსავლეთ პარტნიორობა არ გულისხმობს ევროკავშირის წევრობას“. 2020 წლის იანვარი. იხ.: <https://bit.ly/2xOmXkq>

⁹ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ერთობლივი დეკლარაცია, ბრიუსელი, 2017 წლის 24 ნოემბერი. იხ.: <https://bit.ly/2WjrtSi>

¹⁰ Civil.ge, „საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ევროკავშირში ინტეგრაციის ამბიციურ გეგმაზე საუბრობს“. 2019 წლის დეკემბერი. იხ.: <https://civil.ge/ka/archives/330483>



2019 წლის დეკემბერში, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაზე¹¹ წარმოდგენილი იქნა ახალი საფლავმანო ინიციატივა „ტრიო პლუს სტრატეგია“.¹² აღნიშნული ინიციატივა გზას უხსნის „ევროპული ტრიოს პროცესს“, რომელიც ევროკავშირისა და პარტნიორი სახელმწიფოებისთვის უფრო ღრმა ინტეგრაციის ინსტრუმენტებს ითვალისწინებს. აღნიშნული ინიციატივა „ბერლინის პროცესის“ მსგავსია, რომელიც 2014 წელს დასავლეთ ბალკანური სახელმწიფოების ევროკავშირთან დაახლოვების მიზნით ამოქმედდა.¹³ ევროკავშირის მხრიდან დამტკიცების შემთხვევაში, ზემოხსენებული ინიციატივა ასევე გაზრდის პარტნიორი ქვეყნების მოტივაციას საერთო დემოკრატიული, კეთილდღეობის, სტაბილურობისა და მზარდი თანამშრომლობის სივრცის ჩამოყალიბებისთვის საჭირო რეფორმების გატარების მიზნით.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პოზიტიური გავლენა საქართველოზე უდავოა. თუმცა, იმისთვის რომ პოლიტიკამ ტრანსფორმაციული ხასიათი შეინარჩუნოს, ევროკავშირს და პარტნიორ ქვეყნებს საჭიროა ჰქონდეთ მყარი და მომავალზე ორიენტირებული ხედვა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომდევნო ათწლეულთან დაკავშირებით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, „ტრიუს პლუს სტრატეგია“ წარმოადგენს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ახალ საწყის წერტილს, რომელმაც უდაოდ უნდა უზრუნველყოს ევროკავშირისა და პარტნიორებს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება.

¹¹ ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა არის პარლამენტთაშორისი ფორუმი, რომელშიც მონაწილეობენ ევროპარლამენტის და უკრაინის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პარლამენტების წევრები ევროკავშირთან ახლო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარების მიზნით.

¹² ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის რიგით მერვე სესია, 2019 წლის 8-10 დეკემბერი. „ტრიო პლუს სტრატეგია 2030 წლისთვის: აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავლის შენება“. რეზოლუციის სრული ტექსტი იხ.: <https://bit.ly/2IPetvJ>

¹³ ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა. რეზოლუცია: „ტრიო პლუს სტრატეგია 2030 წლისთვის: აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავლის შენება“.

http://www.epgencms.europarl.europa.eu/cmsdata/upload/439b3edc-e523-4a0e-a9bc-e6c8db51ed75/NEST_8th_urgency_resolution_EN.pdf